საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №356
2024 წლის 29 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 5379 – ა(ა)იპ „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის სამმართველო“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1520[220]	5380	ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი“;
1520[221]	5381	ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“;
1520[222]	5382	ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“;

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3558 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო მეზღვაურთა შრომის, განათლებისა და სერტიფიცირების სფეროებში	3559“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**